საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1297 2021 წლის 29 ივლისი ქ. თბილისი

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №2685 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №2685 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23

დადგენილების საფუძველზე და „საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 იანვრის №44 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისიის 2021 წლის 28 ივლისს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს 330 000 000 (სამას ოცდაათი მილიონი) ლარი, მათ შორის:

1.1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 602 710 (ხუთი მილიონ ექვსას ორი ათას შვიდას ათი) ლარისა, დანართ №1-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 8 359 610 (რვა მილიონ სამას ორმოცდაცხრამეტი ათას ექვსას ათი) ლარისა, დანართ №2-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 737 394 (ოთხი მილიონ შვიდას ოცდაჩვიდმეტი ათას სამას ოთხმოცდათოთხმეტი) ლარისა, დანართ №3-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.4. ბაღდათის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 983 818 (ოთხი მილიონ ცხრაას ოთხმოცდასამი ათას რვაას თვრამეტი) ლარისა, დანართ №4-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.5. ვანის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 351 928 (ხუთი მილიონ სამას ორმოცდათერთმეტი ათას ცხრაას ოცდარვა) ლარისა, დანართ №5-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.6. თერჯოლის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 694 409 (ხუთი მილიონ ექვსას ოთხმოცდათოთხმეტი ათას ოთხას ცხრა) ლარისა, დანართ №6-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.7. სამტრედიის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 317 851 (ხუთი მილიონ სამას ჩვიდმეტი ათას რვაას ორმოცდათერთმეტი) ლარისა, დანართ №7-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.8. საჩხერის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 9 491 615 (ცხრა მილიონ ოთხას ოთხმოცდათერთმეტი ათას ექვსას თხუთმეტი) ლარისა, დანართ №8-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.9. ტყიბულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 306 772 (ოთხი მილიონ სამას ექვსი ათას შვიდას სამოცდათორმეტი) ლარისა, დანართ №9-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.10. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 10 114 003 (ათი მილიონ ას თოთხმეტი ათას სამი) ლარისა, დანართ №10-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.11. წყალტუბოს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 908 680 (ხუთი მილიონ ცხრაას რვა ათას ექვსას ოთხმოცი) ლარისა, დანართ №11-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.12. ჭიათურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 6 163 277 (ექვსი მილიონ ას სამოცდასამი ათას ორას სამოცდაჩვიდმეტი) ლარისა, დანართ №12-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.13. ხარაგაულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 521 191 (ხუთი მილიონ ხუთას ოცდაერთი ათას ას ოთხმოცდათერთმეტი) ლარისა, დანართ №13-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.14. ხონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 690 813 (სამი მილიონ ექვსას ოთხმოცდაათი ათას რვაას ცამეტი) ლარისა, დანართ №14-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.15. დუშეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 7 357 677 (შვიდი მილიონ სამას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ექვსას სამოცდაჩვიდმეტი) ლარისა, დანართ №15-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.16. თიანეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 322 900 (ოთხი მილიონ სამას ოცდაორი ათას ცხრაასი) ლარისა, დანართ №16-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.17. მცხეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 6 085 612 (ექვსი მილიონ ოთხმოცდახუთი ათას ექვსას თორმეტი) ლარისა, დანართ №17-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.18. ყაზბეგის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 945 459 (სამი მილიონ ცხრაას ორმოცდახუთი ათას ოთხას ორმოცდაცხრამეტი) ლარისა, დანართ №18-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.19. ადიგენის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 998 232 (სამი მილიონ ცხრაას ოთხმოცდათვრამეტი ათას ორას ოცდათორმეტი) ლარისა, დანართ №19-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.20. ასპინძის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 106 584 (ოთხი მილიონ ას ექვსი ათას ხუთას ოთხმოცდაოთხი) ლარისა, დანართ №20-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.21. ახალციხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 6 280 846 (ექვსი მილიონ ორას ოთხმოცი ათას რვაას ორმოცდაექვსი) ლარისა, დანართ №21-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.22. ახალქალაქის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 423 652 (ხუთი მილიონ ოთხას ოცდასამი ათას ექვსას ორმოცდათორმეტი) ლარისა, დანართ №22-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.23. ბორჯომის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 6 517 378 (ექვსი მილიონ ხუთას ჩვიდმეტი ათას სამას სამოცდათვრამეტი) ლარისა, დანართ №23-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.24. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 757 917 (ოთხი მილიონ შვიდას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ცხრაას ჩვიდმეტი) ლარისა, დანართ №24-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.25. გორის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 9 530 261 (ცხრა მილიონ ხუთას ოცდაათი ათას ორას სამოცდაერთი) ლარისა, დანართ №25-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.26. კასპის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 669 473 (ხუთი მილიონ ექვსას სამოცდაცხრა ათას ოთხას სამოცდაცამეტი) ლარისა, დანართ №26-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.27. ქარელის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 6 002 628 (ექვსი მილიონ ორი ათას ექვსას ოცდარვა) ლარისა, დანართ №27-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.28. ხაშურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 980 109 (ხუთი მილიონ ცხრაას ოთხმოცი ათას ას ცხრა) ლარისა, დანართ №28-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.29. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 9 326 082 (ცხრა მილიონ სამას ოცდაექვსი ათას ოთხმოცდაორი) ლარისა, დანართ №29-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;“

1.30. გარდაბნის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 434 196 (ხუთი მილიონ ოთხას ოცდათოთხმეტი ათას ას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარისა, დანართ №30-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.31 მარნეულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 882 804 (ხუთი მილიონ რვაას ოთხმოცდაორი ათას რვაას ოთხი) ლარისა, დანართ №31-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;“

1.32. ბოლნისის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 871 184 (ხუთი მილიონ რვაას სამოცდათერთმეტი ათას ას ოთხმოცდაოთხი) ლარისა, დანართ №32-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.33. დმანისის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 532 600 (სამი მილიონ ხუთას ოცდათორმეტი ათას ექვსასი) ლარისა, დანართ №33-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.34. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 140 267 (ხუთი მილიონ ას ორმოცი ათას ორას სამოცდაშვიდი) ლარისა, დანართ №34-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.35. წალკის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 369 092 (ხუთი მილიონ სამას სამოცდაცხრა ათას ოთხმოცდათორმეტი) ლარისა, დანართ №35-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.36. ამბროლაურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 443 387 (ხუთი მილიონ ოთხას ორმოცდასამი ათას სამას ოთხმოცდაშვიდი) ლარისა, დანართ №36-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.37. ონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 910 212 (ოთხი მილიონ ცხრაას ათი ათას ორას თორმეტი) ლარისა, დანართ №37-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.38. ლენტეხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 062 523 (ოთხი მილიონ სამოცდაორი ათას ხუთას ოცდასამი) ლარისა, დანართ №38-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.39. ცაგერის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 584 398 (ოთხი მილიონ ხუთას ოთხმოცდაოთხი ათას სამას ოთხმოცდათვრამეტი) ლარისა, დანართ №39-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.40. წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 388 554 (ოთხი მილიონ სამას ოთხმოცდარვა ათას ხუთას ორმოცდათოთხმეტი) ლარისა, დანართ №40-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.41. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 6 072 088 (ექვსი მილიონ სამოცდათორმეტი ათას ოთხმოცდარვა) ლარისა, დანართ №41-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.42. სენაკის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 443 559 (ხუთი მილიონ ოთხას ორმოცდასამი ათას ხუთას ორმოცდაცხრამეტი) ლარისა, დანართ 42-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.43. ხობის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 357 291 (ხუთი მილიონ სამას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ორას ოთხმოცდათერთმეტი) ლარისა, დანართ №43-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.44. აბაშის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 600 902 (ოთხი მილიონ ექვსასი ათას ცხრაას ორი) ლარისა, დანართ №44-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.45. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 046 251 (ხუთი მილიონ ორმოცდაექვსი ათას ორას ორმოცდათერთმეტი) ლარისა, დანართ №45-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.46. მესტიის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 406 420 (ოთხი მილიონ ოთხას ექვსი ათას ოთხას ოცი) ლარისა, დანართ №46-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.47. მარტვილის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 617 646 (ხუთი მილიონ ექვსას ჩვიდმეტი ათას ექვსას ორმოცდაექვსი) ლარისა, დანართ №47-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.48. ზუგდიდის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 8 801 567 (რვა მილიონ რვაას ერთი ათას ხუთას სამოცდაშვიდი) ლარისა, დანართ №48-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.49. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 825 586 (ოთხი მილიონ რვაას ოცდახუთი ათას ხუთას ოთხმოცდაექვსი) ლარისა, დანართ №49-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.50. ახმეტის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 148 773 (ხუთი მილიონ ას ორმოცდარვა ათას შვიდას სამოცდაცამეტი) ლარისა, დანართ №50-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.51. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 592 175 (ხუთი მილიონ ხუთას ოთხმოცდათორმეტი ათას ას სამოცდათხუთმეტი) ლარისა, დანართ №51-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.52. ყვარლის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 566 246 (ოთხი მილიონ ხუთას სამოცდაექვსი ათას ორას ორმოცდაექვსი) ლარისა, დანართ №52-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.53. სიღნაღის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 10 434 738 (ათი მილიონ ოთხას ოცდათოთხმეტი ათას შვიდას ოცდათვრამეტი) ლარისა, დანართ №53-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.54. თელავის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 6 116 292 (ექვსი მილიონ ას თექვსმეტი ათას ორას ოთხმოცდათორმეტი) ლარისა, დანართ №54-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.55. გურჯაანის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 7 027 305 (შვიდი მილიონ ოცდაშვიდი ათას სამას ხუთი) ლარისა, დანართ №55-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.56. საგარეჯოს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 6 080 333 (ექვსი მილიონ ოთხმოცი ათას სამას ოცდაცამეტი) ლარისა, დანართ №56-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.57. ზესტაფონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 694 730 (ხუთი მილიონ ექვსას ოთხმოცდათოთხმეტი ათას შვიდას ოცდაათი) ლარისა, დანართ №57-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;";

ბ) დანართები №1 – №57 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

ონის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	ქ. ონში არსებული საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სარეკონსტრუქციო სამუშაოები	542 006.0	514 905.0
2	ქ. ონის ქუჩებისა და საზოგადოებრივი სივრცეების რეგილიტაცია (III ეტაპი)	1 494 000.0	1 419 300.0
3	ქ. ონში არსებული სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	160 001.0	152 001.0
4	სოფელ შარდომეთში გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის საფარი)	762 111.0	724 006.0
5	ქ. ონის ქუჩებისა და საზოგადოებრივი სივრცეების რეგილიტაცია	453 863.0	432 250.0
6	ონის მუნიციპალიტეტის სოფლების: საკაო, ლაგვანთა, მაჟიეთსა და ხიდეშელბში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ასფალტო-ბეტონი) (II ეტაპი)	684 210.0	650 000.0
7	სოფელ პიპილეთი -ჟაშქვის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ცემენტ-რკინა-ბეტონი) (I ეტაპი)	368 421.0	350 000.0
8	სოფელ კვაშხიეთში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	209 486.0	199 012.0
9	სოფელ გლოლაში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	100 073.0	95 069.0
10	სოფელ ღარში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	71 456.0	67 883.0
11	სოფელ ღებში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	176 816.0	167 975.0
12	სოფლებში: ქრისტესი, შეუბანი და ზემო ბარში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	57 704.0	54 819.0
13	სოფელ შქმერში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	87 360.0	82 992.0
	სულ ჯამი	5 167 507.0	4 910 212.0